



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით)



www.sab.ge

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარებით)

2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0.4 მლრდ ლარით, ანუ 1.6%-ით შემცირდა და 24.4 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორმა ოქტომბერი 22.2 მლნ ლარის მოგებით დაასრულა. რაც შეეხება საკონვერსიო შემოსავლებს (სავალუტო კონვერტაციები), 2015 წლის ოქტომბერში კომერციულმა ბანკებმა საკონვერსიო ოპერაციებში 14 მლნ ლარის მოგება ნახეს. ლარის კურსთან დაკავშირებულმა მოლოდინებმა და ფაქტობრივმა რყევებმა საკმაოდ არასტაბილური გარემო შექმნეს საკონვერსიო ოპერაციებისთვის და შესაბამისად ბანკებმა 2015 წლის პირველი კვარტალი ფაქტობრივად ზარალით დახურეს. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული სეზონის დაწყებამ აგვისტოში განაპირობა კურსის გამყარების მოლოდინები, მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. თითქმის მთელი თვის განმავლობაში ლარის კურსი ეცემოდა და აგვისტოს დასაწყისიდან თვის ბოლომდე 3%-ით გაუფასურდა. მიუხედავად ამისა საბანკო სექტორმა საკონვერსიო ოპერაციებში საკმაოდ მაღალი შემოსავალი დააფიქსირა.

ბოლო თვეების განმავლობაში საკრედიტო პორტფელის ზრდა აღინიშნება. 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი 70.1 მლნ ლარით (0.4%) გაიზარდა და 15.7 მლრდ ლარს გადააჭარბა რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 34%-ით მეტია. 2015 წლის პირველი კვარტლის ბოლოს საკრედიტო აქტიურობის შესუსტება აღინიშნებოდა, მაისში პორტფელის ძალიან მცირე ზრდა იყო - 19.5 მლნ, ხოლო ივნისში პორტფელი საერთოდ შემცირდა - 115.4 მლნ-ით, თუმცა ბოლო სამ თვეში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში პორტფელის ზრდა ძირითადად უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, რადგან ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 7 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 77 მლნ ლარით გაიზარდა. მაისი-ივნისის ვარდნა გარკვეულწილად მოსალოდნელიც იყო, რადგან სავალუტო პრობლემებმა გრძელვადიან პერიოდში დაკრედიტების შესუსტება გამოიწვია, ამას დამატა ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ზრდაც, რაც პირდაპირ მოქმედებს დაკრედიტების შემცირებაზე. თუმცა ტურისტული სეზონის გააქტიურებამ საკრედიტო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში აისახა სასესხო პორტფელის ზრდაზე. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ბოლო სხდომაზე სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი ისევ გაზარდა და 7.5% გახდა, რამაც მოკლევადიან პერიოდში დაკრედიტების შესუსტება და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა გამოიწვია. ეს საბოლოო ჯამში აისახება ეკონომიკური ზრდის შენელებაზე.

სასესხო პორტფელის ზრდასთან ერთად გაზრდილია ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა და 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით 393 მლნ ლარი შეადგინა. 2015 წელს თვეების მიხედვით თუ



გადავხედავთ, ვნახავთ რომ ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის ზრდის მხრივ იანვარში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 17%, რაც შეეხება მომდევნო თვეების მაჩვენებლებს, თებერვალში 4%, მარტში და აპრილში 7%, მაისში 3%, ივნისში შემცირდა 11%-ით, ივლისში გაიზარდა 9%-ით, აგვისტოში მხოლოდ 0.7%-ით არის გაზრდილი, სექტემბერში ვადაგადაცილებული სესხები მოცულობა აგვისტოსთან შედარებით 5%-ით არის შემცირებული, ხოლო რაც შეეხება ოქტომბერს, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 17%-ით არის გაზრდილი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პორტფელი მხოლოდ 70 მლნ-ით არის გაზრდილი წინა თვესთან შედარებით, ვადაგადაცილებული სესხების 17%-იანი ზრდა საგანგაშო მაჩვენებელია, ეს ნიშნავს იმას რომ მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა შემცირებულია, აქვე აღსანიშნავია, რომ ვადაგადაცილებული სესხების ზრდა უმეტეს წილად მოდის უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ვადაგადაცილებაზე, რადგან ვადაგადაცილებული სესხების ზრდაში 91% უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს უჭირავს. ჯამურად 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 49%-ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ასევე მართალია მცირედით, მაგრამ მაინც, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთლიან პორტფელთან მიმართებაში გაზრდილია 0.5%-ით და შეადგენს 2.5%-ი.

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2015 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით 13.9 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 49.4 მლნ ლარით ანუ 0.4%-ით მეტია 1 ოქტომბრის მაჩვენებელზე. ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით, ვადიანი დეპოზიტები 89 მლნ ლარით, ანუ 1.2%-ით გაიზარდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 39.7 მლნ ლარით ანუ 0.7%-ით შემცირდა. ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შენონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.1% შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 10.9%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 4.2%. დეპოზიტების ზრდა გარკვეულწილად გამოწვეულია ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდით, რადგან რეფინანსირების განაკვეთის ზრდის გამო, კომერციული ბანკები რეფინანსირების სესხების გარდა ალტერნატიული წყაროდან ცდილობენ მოიძიონ ლიკვიდური რესურსები ლარში, რისთვისაც დეპოზიტები საუკეთესო საშუალებაა.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 83%, ხოლო ევროს წილმა 14.6% შეადგინა.

რაც შეეხება დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება, რაც გამოიხატება იმაში, რომ დეპოზიტებში დოლარიზაციის მაჩვენებელი უკვე 69%-ის ნიშნულზეა, რაზეც შეიძლება ითქვას რომ უკვე საგანგაშოა. შედარებით დაბალია დოლარიზაციის მაჩვენებელია სესხების კუთხით, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა ჯამურ პორტფელში 64%-ს შეადგენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ წინა თვეებში გარკვეული პრობლემები საბანკო სექტორსაც შეუქმნა. თუმცა ივლისი-სექტემბრის მდგომარეობით აშკარა ზრდა აღინიშნება, რასაც ვერ ვიტყვით ოქტომბერზე, მართალია სესხებიც და დეპოზიტებიც გაზრდილია, მაგრამ ძალიან დაბალი მაჩვენებლებით, ამასთან შემცირებულია კომერციული ბანკების აქტივები, რაც უცხოელ ინვესტორებს უარყოფით სიგნალს აძლევს ჩვენი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის შესახებ. მაგრამ მთლიანობაში რომ შევაჯამოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი ინდიკატორები, რომელიც განსაზღვრავს საბანკო სექტორის სტაბილურობას 1 ნოემბრის მდგომარეობით სტაბილურია. მართალია ტურისტულმა სეზონმა ლარის გამყარება ვერ შეძლო, თუმცა საბანკო სექტორზე მაინც დადებითი გავლენა იქონია. მთლიანობაში საბანკო სექტორი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და სტაბილური ინდუსტრიაა,



რომელმაც საკმაოდ ძლიერ კრიზისებს გაუძლო. მიმდინარე ეტაპზე დაფიქსირებული ზრდის ტემპი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გასულ თვეებში წარმოქმნილი პრობლემების მიუხედავად, მცირე ეკონომიკური შოკები საბანკო სექტორის სტაბილურობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენს.



